საქართველოს მთავრობის

დადგენილება №568

2022 წლის 14 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 15856.00 კვ.მ გეგმარებითი არეალის მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (26 აპრილი, 2022 წ, №1516-VIIIმს-Xმპ) მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, „ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 15856.00 კვ.მ გეგმარებითი არეალის მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №115 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/03/2021, 330090000.10.003.022674) შეტანილ იქნეს ცვლილება და დამტკიცდეს კორექტირებული „განაშენიანების რეგულირების გეგმა“ ამ დადგენილების დანართ №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**